# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება №01-09-10/03

ქ. თბილისი 09 01 2020 წ.

**წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)**
**მორიგი არჩევნების დანიშვნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-12 და მე-13 მუხლების და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 08 იანვრის #01-05-04/03 დადგენილების (ოქმი #01-05-02/02) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მორიგი არჩევნები 2020 წლის 29 იანვარს.
2. არჩევნები გამოცხადდეს სენატის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე ფაკულტეტების მიხედვით:
   - სამშენებლო ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 4 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;

- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 5 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 5 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 3 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის.

3. დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულიდან (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა) წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) აირჩევა სამეცნიერო პერსონალის ორი წარმომადგენელი.

4. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს - ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც იგი ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2020 წლის 22 იანვრისა, წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამომრჩეველთა შესაბამის სიაში რეგისტრაციის მიზნით.

5. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევა ხდება ოთხი წლის ვადით. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2020 წლის 15 იანვრიდან და დასრულდეს 2020 წლის 22 იანვარს.

8. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

9. ფაკულტეტის საბჭოებმა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოებმა 2020 წლის 15 იანვრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

10. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (ქ.ქოქრაშვილი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

11. არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

12. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

13. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი**